



№ 7 უოკელ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი № 7

რედაციის ხელის მომზადე:

პირველი პრემია მიეცნეთ: სტეპნიანის მოთხოვნა „სახლი ვოლგის ნაპირზე“.

მეორე პრემია: ირეთელის ასალი ოთხ-მოქმედებიანი პიესა „სიცილი“. პირველი წიგნი დაურიგდებათ თებერვლის დამლევს. მეორე — აგვისტოს პირველ რიცხვებში, ვინც თებერვლის

გასვლამდე სრულად შემოიტანს მთელი წლის ფულს ორივე წიგნს მიიღებს.

შენაბას მ. იასამანი — ლექ. პოეტი. ღ. გომართელი — სალიტერატურო მიმოხილვა; ახლაპირელი — ლექ. უსახლკარო. შალიკო. აბდ — ლი ანტონ პავლეს-ძე ჩეხოვი; ზომლეთელი — ლექ. ალზექ იმელო; ბაბილი ნა — ლექ. * * *. ბ. ლომითათიძე — მოთხ. სახ- რინბერლასკენ (ლ. ანდრევისა) ვ. მალაქიაშვილი — ლექ. მიმოგონების ზეირთთა დუდუნი, ირეთელი — მოთხ. იობაზა გელა — ლექ. დედას. შვარცი — უნგრა რამხელვნებაზე ფ. რუშველი — ლექ. წამით განცრომა — ი. რუსულ ახალ მწერლობის ისტორია (კოგანისა)

შოველ-კვირეული საკოლიტიკო და სალიტერა-
ტურო გაზეთი

საუმჯობესოდ მოწყობილი

„ვ მ ნ ი“

გამოდის იმავე პროგრამით, როგორც 1909 წელს
გამოდიოდა.

გაზეთის ფასი: რედაცია

ქალაქში დატარებით 3 ბ.—; ვინც რედაქციაში
მოიკითხავს გაზ. დაეთმობა 2 ბ. 50 კ.

ქალაქ გარეთ . . . 3 ბ.— კ.


ნახევარი წლით, . . . 2 ბ.— კ.

სამი თვით 1 ბ.— კ.

რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ბალახვანსкая
ул. домъ. № 37- Редакція „ПОНИ“.

ველიამინოვის ქ., № 6

ასრულებს უოკელ-კვირეული სასტურო სააქტერებს
სუფთად და იაფად.



სახელი

№ 7

ქვირა, 24 იანვარი უოშელ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი

1910 წ.

შ ი ნ ა ს ი.

აზრებს ნუ გირევს იქვები,
ფრთებს ნუ შეუკვეც სურვილსა,
ოცნების ცეცხლსა ნუ მისცემ
მთას ფიქრით შემობურულსა.
მთის წყაროს ქვა-ლოდთ ნუ აყრი,
რომ გიკლავს სამღვთო წყურვილსა!

ფიქრთა მთა ისევ წინ გედგას
ოცნებით წამოგრაგნილი,
იქვის ნისლთაგან ნიავით
და ქარით გადაბანილი.
გლოვის ცეცხლს წყარო გიქრობდეს,
მთის თხემით ჩამოგზავნილი,

ბალჩა-რამ მთაზე გეშენოს,
წალკოტი უცხო ვარდების,
ბილიკთა გასწვრივ ყვავილთა
კორა გხდებოდეს ბარდების.
ჩამყუჩებელი წყლულისა,
გამჭარვებელი დარდების!

მწუხრის ბინდბუნდზე, რიერაუზე
ხეივანთ შორის იარე,
ფიქრები, ზლვასებრ მღელვარნი,
ყვავილებს გაუზიარე, —
რომ, გულ-მოკლულათ შთენილი,
სატრფოზე ხარ მგლოვიარე!

იასამანი — ლექ. „პოეტი“ ი. გომართელი სადაც იუ-
რატურო შიმთხილება. ახოსპირელი — ლექ. უსახდევარი.
შალიკო აბდ — ლი, ანტონ პავლესაძე ჩეხოვი; ზომ-
ლეთელი — ლექ. ღზდგბ იმედო; ბაბილინა — ლექ.
* * * — ა. ლომთათიძე — მთხო. სახელმძღვანელი (დ.
ანდრეევისა) გ. მალაქიაშვილი — ლექ. მიმთვარების
ზეირთოა ღვდუნი. ირეთელი — მოთხ. „თბილა“. გე-
ლა — ლექ. დედას. შვარცი — ცოტა რამ სელონებაზე,
ფ. რუშაველი — ლექ. წამით განცხრობა. — ი.
რუსელ ახალ შეწყვილის ისტორია (კოგნის).

უცადე — იქნებ ქარს აპყვეს,
შთამოჯდეს რომელ ხეზედა,
ფარშევნების ფრთით მორთული
და გულმოკლული შტერზედა.
მიხვდი — სიმღერას დაიწყებს
დილის რიერაუზე, მზეზედა.

სალამი მიეც, ატოკდი,
გენიშნოს მის ბაიათი,
მოიხიბლები მის სტვენით
და უცხო ტია — ტიათი...
ნუ დაიყოვნებ: წალკოტში
ვარდი მოსწყვიტე, მიართვი!

იასამანი.

სალიტერატურო მიმოხილვა.

VII

დუტუ მეგრელის მთელი ფიქრი, მთელი გრძნო-
ბა და ჩაგრულის მოძმის გარშემო ტრიალებს. მისი
პოეზიის უმთავრესი საგანი და ჩაგრული მოძმეა. ის
ხან თვალ ცრემლიანი მოვკითხრობს და ჩაგრულთა
მღვმარეობაზე, ხან გულ გამხნევებული იწვევს
ყველის ჩაგრულთა გასანთავისუფლებლათ.

მგოსნის სიტყვები! ხალხს ჩვენ უნდა შევატყობინოთ
თავისი ტანჯვა; ყველივე მას ვაგრძნობინოთ
ჩვენ უნდა ნათლათ დავუხატოთ აწმყო წარსული
და გავუღვიძოთ მონბისგან. და შული სული
ჩვენ უნდა აღვძრათ ხალხში გრძნობა, გრძნობა მაღალი,
და მოვანატროთ უკეთესი მას მომავალი.
ი როგორ ესმის დუტუ მეგრელს პოეტის
დანიშნულება, იმისი მოვალეობა, დუტუ მეგრელი

მართალია; სრულებით მართალი! პოეტი ხალხის შეიღლია, ის ხალხს უნდა ემსახუროს, მაღალი გრძნობა აღუძრას მას და უკეთესი მომავლის მოპოებისათვის ამზადოს. როდესაც გასინჯავთ კერძო აღა მიანს, ის მართლაც გვირჩვინია ბუნებისა. აზროვნება, რომელსაც სამზღვარი არა აქვს, რომელიც უკედავებას ეძებს.— მაზედ მშვენიერი, მაზედ დიადი რა არის ბუნებაში! მაგრამ როდესაც თქვენ აიღებთ აღმიანს საზოგადოებრივს და ჰკითხავთ, რას მოახმარე შენი აზროვნება-ეს დიადი განდი ბუნებისაო, მეცნიერებას, ხელოვნებას, ბუნებასთან ბრძოლას—, გიპასუხებსთ.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ უმთავრესად, უმთავრესად რას შეალიე შენი აზრი, ჩაჭკითხეთ თქვენ და მაშინ მიიღებთ პასუხათ: ადამიანთან ბრძოლასო.

იმის ნაცვლათ რომ ადამიანებს ერთი მეორის დახმარებით საერთო ბედნიერება ეჭვდათ, უეჭველათ ისინი ერთი მეორეს; ბორკილებს უჭედავდენ, სახრჩობელას უმზადებდენ. მერე რისთვის? იმისთვის, რომ უმცირესობა ფუფუნებაში იყოს და უმრავლესობას მონობის ულელი კისერზე ედგას და გასაძლომათ პურიც არა ჰქონდეს.

ხშირათ გაიგონებთ: ამან და ამან თავი მოიკლა, რადგანაც სიმშილს ვეღარ გაუძლო, ან და სიმშილით მოკვდაო. ამავე დროს აიღეთ ოანამედროვე ქალაქი, რამდენი საზრდოა შიგ დაგროვილი! რამდენი სასმელი, რამდენი საჭმელი, რამდენი ტანისამოსი! და ამოდენა საზრდოს, ამოდენა სასმელ-საჭმელს შორის ადამიანი სიმშილით კვდება ან თავს იკლივს! განა იმ საზოგადოებაში, რომელსაც ბუნების გვირჩვინი შეადგენენ, ისეთი წარმოუდგენელი რამ უნდა მოხდეს? არა და არა. კაცობრიობის ლექსიკონში არ მოიპოება სიტყვა ამ საშინელების გამოსახატავათ.

ეს ერთი უბრალო მაგალითია, ჩვეულებრივი მოვლენაა, გასაჯეთ მთელი საზოგადოებრივი წყობილება,— განა მის საფუძველს საშინელი უსამართლობა და მხეცობა არ შეადგენს? ბოლომდე რომ ასე გაგრძელდეს, შეუძლებელია. შეუძლებელია, რომ არ დაინგრეს ამგვარი საფუძველი და ცხოვრება არ მოეწყოს ისე, როგორც შეეფერება ბუნების გვირგინს— ადამიანს.

მანამდე?

მანამდე ხალხი უბედურია, ბედნიერი მხოლოთ ზოგიერთები არიან.

ამიტომ ყოველისფერი და ყოველივე ცხოვრებაში ამ უბედურ ხალხს უნდა ემსახურებოდეს

და მასთან ერთათ მიისწრაფოდეს საერთო ბედნიერებისაკენ.

და კაციც ჩაგრულ ძმ.თათვის
ამუშავებდეს თვის ცულსა!

დუტუ მეგრელი სწორეთ ჩაგრულ ძმათათვის ამუშავებს თვის ცულს, რადგანაც მას წრფელის გულით უყვარს დაჩაგრული და დავრდომილი.

ვინც ეძებს მხოლოდ პოეზიას და ხელოვნებას, ცდილობს მარტოკა თავისს თავის სიამოვნებას, ვერ მიიზიდავს ჩემი მუზა მას ნალვლიანი

მარად აღვსილი მწუხარებით თვალ ცრემლიანი ჩემ ლექსის მიმართოს, ვინც ეძებს აზრს, გრძნოთ გამ- სჭვალულს.

და სურს ჩაფიქრდეს, თანაუგრძნოს ტანჯულ- დაჩაგრულს!

ტანჯულ-დაჩაგრულთადმი თანაგრძნობა და მხი- არული მუზა შეუძლებელია, ამიტომაც დუტუ მეგ- რელის პოეზია უმთავრესათ მწუხარეა, სევდიანია, მაგრამ უიმედო არ რის,— ის იმედით სავსეა. დუ- ტუ მეგრელის სევდა არ არის სევდა უიმედობისა, სასოწარკვეთილებისა. პოეტი ხედავს, რომ ფული, მუშტან შეერებული, ქვეყანას მართავს! მაგ- რამ პოეტს ამავე დროს სწამს, პოეტი დარწმუნებუ- ლია, რომ ეს შავი დრო მალე გაჭქრება, რომ მჩაგ- ვრელნი დაიმხობიან. რა გააქრობს ამ შავ დროს? სასწაული? არა, დაჩაგრულთა მოძრაობა.

დუტუ მეგრელის რწმენით დაჩაგრულთა ხსნა, მათი განთავისუფლება ისევ დაჩაგრულთა საქმეა; ამიტომ პოეტი გულ-წრფელი მოხხრეა სიმართლი- სა და ბედნიერების მაძიებელი ხალხის მოძრაობის.

მე შინდა, მოვკდე ბრძოლისა ველზე,

სადაც მტარვალი დამარცხდებიან

და დაჩაგრულთა, გამარჯვებულთა,
დოოშანი მაღლა აიშევებიან.

დატანჯულთადმი სიყვარული დუტუ მეგრელის პოეზიის ნიშნობლივი თვისებაა. დუტუ მეგრელი ხალხის ჭეშმარიტი შეიღლია. ხალხის ტანჯულა სტან- ჯავს მას, ხალხის ბედნიერება ახარებს მას, ის ხალ- ხის სიკოცხლით სკოცხლობს, ხალხის სუნთქით სუნთქავს, ხალხის მძიმე ტეირთს პოეტი თავისივე ნებით ზიდავს.

პოეტია მხოლოდ იგი, ვინც ტანჯულა, ერთს წყლულით, წმინდა გრძნობით გამსჭვაღულა და მისთვის მღერს, რომ ჩაჭქოლობ ბოროტება, ან დაჩაგრულ გულს მოჰყინოს სასოება!

ასე განმარტავს დუტუ მეგრელი ერთ ალაგას პოეტის თვისებას. სწორეთ ამგვარი პოეტია დუტუ მეგრელი, ის მტერია ბოროტების ძალმომრების, უსამართლობის. სრული თანასწორობა, სრული სა-

მართლიანობა, ძმობა, ერთობა — აი დუტუ მეგრელის იდეალი, პოეტი ყველას აქეთკენ იხმობს, ყველას იწვევს ბოროტებასთან საბრძოლველათ, ის ხედავს, რომ ცხოვრებაში ბოროტება და მუშტი მეფობენ, სამართლანობა, კეშმარიტება დევნილია; უმრავლესობა მონობის უღელს ატარებს და უბედურია, პოეტს გულის სიღრმიდან აღმოხდება კვესა სასოწარკვეთილებისა:

ამ, რად არ ძალმის მთლათ ცრემლათ ვიქცე,
გავხდე მდინარე, ალქაფებული,
და გადავრეცხო; რაც ქვეყანაზე
ბოროტებაა დამყრებული!...

მაგრამ უკიდურესი სასოწარკვეთილების დრო-
საც-კი დუტუ მეგრელს იდუმალი ხმა ეუბნება: დად-
გება დრო და ხალხი გამოიღვიძებს, ძალას მოიკ-
რეს და ბოროტების ტახტს დაამხობსო. ეს იდუ-
მალი ხმა პოეტის გულს იმედით აქვებს.

ხალხი მებრძოლი, ხალხი გმირი სულს მინე-
ტარებს;

ხალხი, შემგნები თვის ძალის, მაფრთოვნ-მახარებსა;

რა არის ეს იდუმალი ხმა? ეს არის პოეტის რწმენა. მიუხედავთ იმისა, რომ გარშემო ის სანუ-
გეშოს ვერაფერს ჰქედავს, ის მაინც იდეალისტია, მასა სწამს, რომ ბოროტება, ძალმომრეობა, უსა-
მართლობა მოისპობა და ქვეყანაზე სრული სამართ-
ლიანობა და თანასწორობა გამეფდება. პოეტია სწამს, რომ აღრე თუ გვიან ხალხი გასწმენდს ცხოვრებას, იმის ძლევამოსილ მსვლელობას ვე-
ღარაფერი ვეღარ შეაჩერებს, ეს რწმენა პოეტის თანდასდევს, უკველვარ მდგომარეობაში ამხნევებს მას; ამ რწმენის გარეშე პოეტს სიცოცხლე არ შეუძლია.

შეორე უმთავრეს საგანს დუტუ მეგრელის პო-
ეტისას სამშობლოს სიყვარული შეადგენს. სამშო-
ბლო პოეტს მთელი თვისი არსებით სულით და
გულით უყვარს, მუდამ მაზე ფიქრობს, მუდამ
ფალწინ უდგია.

ჩემს მამულზე უკეთესი სად არი?

იგია თვით სამოთხისა სადარი,

მამულისადმი სიყვარულს კიდევ უფრო უძლიე-
რებს პოეტს ის გარემოება, რომ სამშობლო და-
საგრულია და პოეტის მთელი სული და გული, მი-
სი თანაგრძნობა და სიყვარული დაჩაგრულებს ეკუ-
თვნის. სამშობლო და ისიც დაჩაგრული პოეტს მარტო სიყვარულით კი არ უყვარს, ის თაყვანსა სცემს მას, აღმერთებს მას.

სამშობლოსადმი სიყვარულის ნიადაგზე დუტუ მეგრელი ჰქმის ერთგვარ პანთეიზმს, რომელიც

საესეა წარმტაცი, მომხიბლავი, ოცნების მატყვე-
ვებელი პოეზიით. პოეტის სული სიკვდილის შემ-
დეგ სამშობლო მხარეს უერთდება, სამშობლოს ნა-
წლი ხდება. ის ხან სამშობლოს წყაროთ გადიქ-
ცევა, ხან ყვავილათ, ხან ნამათ და სამშობლოს
გულზე ეპკურება, ხან სამშობლოს დიდებული ნან-
გრევების სულათ.

მაშინ კი მხოლოდ ხორცი მოკვდება
და თავისუფლად დაიწყებს ფრენას,
უკვდავი სულ!

რა ბეღნიერი ვიქნები მაშინ,—
ვეღარავინ და ვეღარაფერი
სამშობლო მხარეს ვერ მომაშორება!

მეც მისს წყაროთა შეეუერთდები;
იმათთან ერთად ტებილის ჩრდილით,
მივრწყავ რა გზა-გზა ათასს მინდორ-ველს,
შორს, შორს ზღვისაკენ გავექანები
და ჩაგვრევი მისს ცელქ ზვირთებში,
რომ მზის სხივებმა ზე ამიტაცონ!

და, ცაში ნამად კვლავ გარდაქმნილი,
ძირსვე ღავეშვა და ესე მარად
გარს ვევლებოდე ძირფას ქვეყანას!

ან შეექნები იმის წალკოტთა
მუშვინიერებით საესე ყვავილად.
რომ აღგზებულმა ძლიერის გრძნობით
ჭაბუქმა მნახოს და თავის სატრფოს
მიძღვნას სახსოვრად!

და ან მის ერთ ერთ მრავალ ნანგრევთა,
ოხრად შთენილთა, სულად ვიქცევი
რომ ვაგრძნობინო ყოველს მისს მნახველს
მისი წარსული

თან დიდებული, თან ტანჯვით საჭე!

რა ბეღნიერი ვიქნები მაშინ!...

დიადი პოეზიაა, უკვდავი გრძნობა. შეუძლე-
ბელია, ეს ლექსი წაიკითხოთ და სიმოვნების ურუ-
ნტელმა არ დაგიაროსთ ტანში, სამშობლოსადმი
სიყვარულმა არ იფეთქოს გულში.

შეუძლებელია, ეს ლექსი წაიკითხოთ და არ
შეგრცევთ თქვენი თვისია, თუ ვერ იგრძენეთ
ის, რასაც პოეტი გრძნობდა, როცა ამ სტრიქონე-
ბსა სწროდა.

პოეტის სიყვარული მამულისადმი შებორკილია
სიცოცხლეში სხეულით. და როდესაც სხეული მო-
კვდება, სიყვარული თვისუფლება, ის სამშობლოს
უერთდება, სხვა და სხვა სახით გარს ფვლება სამ-
შობლო მხარეს და ამით იგვარსავე ნეტარებას გა-
ნიცდის, როგორსაც მორწმუნე სული ღვთის მარად
შერით. კეთილშობილი ნიკია დუტუ მეგრელი;
სევდიანი, აღერსით საესე ნაზი, ტებილი, სააშრა
მისი პოეზია!

მისი ლექსები საკაცობრიო აზრებით, ჰუმანური გრძნობებით არის გამსჭვალული.

პოეტი უმღერს ყოველისფერს, რაც ცხოვრებაში კეთილია, პატიოსანი, მშვენიერი, უკვდავი, იდამიანის ამაღლებელი; ის სდევნის ყოველისფერს, რაც ადამიანობის დამამცირებელია, რაც ადამიანის კეთილ-დღეობას წინ ელობება.

ჩემი სიცოცხლე

ბევრ წმინდა გრძნობათ, მასწრაფებათ, სურვილთ
მჩენია!...

სწერს დუტუ მეგრელი ერთ თავის ლექსში
და მისი მნიშვნელობაც სწორეთ ამაში მდგომარეობს: მისი პოეზია წმინდა გრძნობებს აღძრავს, პატიოსან მისწრაფებათა და კეთილ შობილ სურვი.
ლებს იწვევს.

ივ. გომიართელი.

უ ს ა ხ ლ კ ა რ ო.

დაპქრის ქარი, შესაზარი,
კარებს ამტკრევს, ლეჭავს მინებს
და შორს ველსა, თვალ უწევდენსა,
ქარიშხალი დაპისინებს!

ჩუ, გრიგორი! ვითა რკალი
ხე იხრება, ილეწება;
ვაჲ ამ სოფელს—ცეცხლში მყოფელს—
ვგონებ ბოლო შოელება!...

უსახლეარო, შე ბედ-მკვდარო,
სად ხარ ამ დროს, რომელ მხარეს?...
ვის შესტირი, ანატირი,
შენს ვაება-სიმწუხარეს?!

არსად დარი, მთა და ბარი,
სტირის.. გლოვის ძაბა ჰეურავს;
გაიელვა.. ვითა ლელვა
ცას ღრუბელი აპობს, სცურავს!...

თვით ნადირი, გულ-გამგირი,
ძრწის და სოროს ეტანება;
ზღვა ფაფარს შლის, ჰეივის, მიპქრის,
თითქოს მთა-ბარს ემუქრება! ..

უსახლეარო, შე ბედ-მკვდარო,
სად ხარ ამ დროს, რომელ მხარეს?...
ვის შესტირი, ანატირი,
შენს ვაება-სიმწუხარეს?!

ახოსპარელი.

ანტონ პავლეს ძე ჩეხოვი.

(შისი დაბადების 50 წლის თავი)

17 იანვარს შესრულდა 50 წელი მას შემდეგ, რაც რუსულ ლიტ-რატურას შეეძინა ერთ უნიკიტეტის მწერალი. 1860 წელს 17 იანვარს ქალაქ ტაგანროგში ერთ საბატონე გლეხის დარიბ აჯახში დაიბადა ანტონ პავლეს ძე ჩეხოვი. ამ უბრალო გლეხის აჯახმა რამოდენიმე მწერალი და მხატვარი გაზარდა. მათ შორის ანტონ ჩეხოვიც. პირველ დაწყებითი და საშუალო სწავლა ჩეხოვმა ტაგნაროგში მიიღო. ადგილობრივი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, „ს მოსკოვისაკენ გაეშურა, სადაც საექიმო ფაკულტეტი გაათავა, და ექიმის ხარისხი მიიღო, თუმცა პრაკტიკაზე არასოდეს არ უმუშავია. სამწერლო ასპარეზზე ის ჯერ კიდევ სტუდენტი იყო რომ გამოვიდა 1879 წ. პირველი და ის თავის მოთხოვნებს იუმორისტულ უურნალებში ათავსებდა. ამასთანავე თანამშრომლობდა პეტერბურგის გაზეთებში. 1886 და 1887 წლებში, გამ-ვადა პირველი მისი კრებულები უკანასკნელმა კრებულმა ნათელი მოპოზნა ჩეხოვის სამწერლო ფიზონომიას. მან დააწერა რომ ჩეხოვის სახით რუსეთის ლიტერატურას შეეძირა ახალი ღრმა და წმინდა მხატვრული ტალანტი. ამან გაამჩნევა ავტორი და დაიწყო უურნალებში თანმშრომლობა. მოთხოვნებში განსაკუთრებული უურადლება მიპყრეს „Степь“ „Ску-պнай жизнъ“ „Палата № 6“ „Мужики“ პიესებში „Ивановъ“ „Чайка“ „Дядя Ваня“ „Три сестры.“ და სხვებმა იმას დასახასიათებლათ თუ როგორი უურადლება დაიმსახურა ჩეხოვმა საკმარისია ალვნუსხოთ, რომ რუსეთის საზოგადოების თვალში მის ათ ტომიანმა თხუზულებებმა 10—15 გამოცემამდე აახწიეს. 1900 წელს ჩეხოვი სამეცნიერო აკადემიის საპატიო წევრათ იქნა არჩეული.

როგორც ვხედავთ, ჩეხოვი მე 80 წლებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. ეს ხანა კი ღრმა რეაქციონური ხანა იყო რუსეთში, საუსლი გონებრივი და ზნეობრივი კრიზისით. არც ერთი შთამომავლობა არ ყოფილა იმდენათ დაცილებული

ისტორიულ იდეებს, რაგორც შთამომავლობა მე 80 წლების. „ნაროდნიკების ლოზუნგი გლეხი მოვა და ყცელაფერი, მოაწყობსო —უარყოფილ იქნა თითო ცხოვრების მსვლელობით. ასალი ალზო, ასალი ლოზუნგი ჯერ არ წამოსროლობიყო, „არსარან ხმა, არსით ძახილი“, ამ დროს რუსეთში-ერთი ისტორიკოსის სიტყვებით „მომაკვდავთა ფერხული იყო გაბმული“ ამ დროსვე ისმოდა ნადიონის სამგლოვარო გულუამთუთქველი სიმღერები.

ის ასეთ ატმოსფერაში იზრდებოდა და ვითარდებოდა ჩეხოვის ტალანტი. მოზარდი ნიჭი ამ დროს ფიქრობდა, აკვირდებოდა და სწავლობდა, ცდოლობდა გამორკვეულიყო მე 80 წლების ამ ხაოსში.

ჩეხოვმა იცხოვრა და იწვალა, იჯიქრა და ივრძნო მე-80 წლების საზოგადობრივი რეაქციის ძალა და სიღრმე. მან ღრმათ და ორგინალურათ გადაიმუშავა თვის მხატვრულ ქმნილებაში, რუსეთის ცხოვრების ამ ბნელი და მძიმე დროის შთაბეჭიდლებები. მან გვაჩვენა მე-80 წლების საზოგადოების მთელი გონებრივი და ზნეობრივი კრიზისი. ნათლათ დაგვანხვა რუსეთის ცხოვრების მაშინდელი უიმედობა, სიბნელე და სიმბლალე.

ამ დროს გნაუჯორებით ყურადღებას იქცევდა ინტელიგენციის კრიზისი, ეს კი ჩეხოვს, რაგორც მხატვარ ინტელიგენტს ყველაზე უფრო უჩხვლეტდა გულს: უნდა ვიფიქროთ, რომ აქედან ქონდა დასაჭყისი ჩეხოვის კარამს და გულშემზარავ პესიმიზმს იდამიანისადმი. თავისი გმირი ინტელიგენტების სახით ჩეხოვი გვიჩვენებს თავის პესიმისტურ ჟეხედულობას. მაშინდელ ინტელიგენტები ჩეხოვის ტიპების უმრავლესობა ან სკაპტიკებია ან უნებო არსებანი, ან თვისი მკვლელები, ან დევენერატები, პისხოპატები (სულით ავადმყოფი). ჩეხოვის ერთი კრიტიკოსის სამართლიანი შენიშვნის არ იყოს „ჩეხოვის ყველა ინტელიგენტები ავათ არიან იმ სენით, რომელსაც პისხიატები არ არიას“ (უნებობას) უწოდებენ. ჩეხოვს გულშრფერათ უყვარდა მე-80 წლის ინტელიგენტი, მაგრამ ეზიზლებოდა მისი სისუსტე და არა ნორმალურობა.

ჩეხოვი არაფერს არ იგონებდა, ის ღრმათ უკვირდებოდა ცხოვრების პირობებს და თვის მხატვრულ ნაწარმოებით ამ ღრმა დაკვირების მიუდგომელი აღწერა-თ ჰქმნიდა.

ის ერთ მისხალს არც აკლებს და არც კრატებს რუსეთის სინამდვილეს, ის არ გავს იმ მწერლებს, რომელნიც მას გადაშეტებული მნაშნელობით ხატავდენ, ის სავსებით ასურათებს გლეხის

როგორც დადებით ისე უარყოფით მხარეებს თუმცა მისი შეხედულობა გლეხებზე არსებითათ ბურუუაზიულია. მის შეხედულობას გლეხებისდამი ყველაზე უკეთ მისივე შემდევი სიტყვები გამოსახვენ:

„იყო ისეთი დღე და საათები, როდესაც იქდავდი რომ ეს ადამიანები (გლეხები) პირუტყვებზე ცუდათ ცხოვრობენ, სისწყლესა და საღატაკეში, ძნელი შრომა, ყინვები და ქარ ბუქი, ცუდი მოსავალი, სივიწროვე, შიმშილი, წყურვილი—საშვალება კი არსაიდან არც იმედი საშვალებისა“... მაგრამ ისინიც ადამიანები არიან. *)

ჩეხოვმა დიდი კვალი გაავლი რუსეთის ლიტერატურაში. შექმნა მთელი ხანა, რომელსაც სულ მისივე სახელით იხსენიებს რუსეთის ლიტერატურის ისტორია. ის ორ დიდ ლიტერატურულ (ტალსტოისა და გორკის) მნათობ შორის აშექებს რუსეთის ბნელეთით მოცულ სივრცეში და მათთან ერთათ ეძებს და ღალადებს სიმართლეს, რასაც ვერდასწვავს ცეცხლი და ვერუ წაიღებს წყალი „И он памятникъ воздвигъ себѣ перукотворненый, къ нему не заростеть народная тропа“ განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს ჩეხოვის ორიგინალური და გარკვეული ლიტერატურული ფიზიონომია. მისი გასაოცარი სიახლოვე თვის დროის კვლევა ძიებასა და აზროვნებასთან ერთი უძირიშასესი მხარეა მისი ნიჭისა და ერთი უდიადესი დამსახურებათაგანი რუსეთის ლიტერატურის წინაშე. ჩეხოვი შესანიშნავი სარკეა მე 80 ცე წლების საზოგადოების გონებრივი და ზნეობრივი კრიზისის. დღევანდელი კრიზისი, რამოდენიმეთ გვაგონებს მაშინდელს და იმიტომ გასაკვირვალი არ არის თუ ჩეხოვის უდროო-დროს დაკარგვა გულშრფელ მწუხარებას იწვევს ჩვენში...

შალიკო აბდუშელიშვილი.

აღსღებ იმედო!

აღარ ყვავილობ, იმედო,
გულხელი დაგიკრეფია!..
ბაღში საშენო ვარდები,
მითხარ, ვის დაუკრეფია?

ვის გაუძარცვას ბუჩქები?

ვინ შეხებია იმათა?

სოჭვი, ვისგან დამდის ეგ ცრემლი,
გაწვიმებული წვიმათა!,

*) ჩეხოვის თხუზულება მე IX ტომი („МуЖИКИ“)

აღსდექ, აუვავდი, იმედო!
აჟე სამარის კიდესა,
გააპე ლოდი... ეკვეთ
ამ უსაშიშრეს რიდესა!..

სამარექ! პირი გაიხსენ:

მომეცი, რაც იქ მარხია,
უმისოთ გული გაწყალდა,
შესდგა სიცოცხლის ჩარხია.

კრიჭა შეეკრა გმირთა გმირს:
დაუგმინ-დაუკვნესია!

წინ თასი უდგას და მასში
ნალველი ჩაულესია.

იწამლავს... თავსა იწამლავს,
სიცოცხლე მოპბეჭრებია:
ირგვლივ—პარტახი!... დუმილი...
კველგან გოლგოთის ჯვრებია...

არა... აღსდექი, იმედო!

სამარე არ ხსნის კიდესა,—
თვითონ ეკვეთ მის ცივ ლოდი,
ამ უსაშიშრეს რიდესა,

გააპე იგი... გააპე,
თავზე რომ მაწევს მძიმედო.
ტკბილია... ტკბილი სიცოცხლე!..

აღსდექ, აუვავდი, იმედო!

უშენოთ გული გაწყალდა...

გმირთა გმირს დაუკვნესია:
წინ უდგას თასი და მასში
ნალველი ჩაულესია;

უნდა, რომ იგი დასკალოს,
ჭაი წამალი ჰეონია,
თან კიდეც ჩაფიქრებულა,
კაეშანს დაუმონია!..

5. ზომლეთელი.

**

თრთოლეთი, სათუთი, ვით დილის ნაში
გარიერაეს გულზე მე დავებადე;—

ცამ გამიღიმა, სამყარომ მიხმი
და მისწრაფების გავშალო ბადე.—

მამცნო ვარსკვლავმა აღმოსავლეთით...
...და მსურდა მიწა ჩამეკრა გულში!—

მაგრამ სატანაშ შემხო ფრთანი,
გადამთერქვია შავ-ბნელ უფსკრულში.

ბაბილინა.

სახრჩობელასკენ.

(გავრძელება იხ. „სხივი“ № 6).

უკან რომ დაბრუნდებოდა ფერმისკენ მთელ
10 ვერსტს კენებით გაივლიდა. გაცოფებამდი მი-
უვანილი, ნაცემი ცხენი ოთხ-აღებ მირბოდა, მირ-
ბოდა გაბრუნდებული, მარხილი აქეთ-იქით ეხეთქებო-
და, გადაბრუნებას ლამობდა, ბოძებს ეჯახებოდა,
იანსონი-კი ხელიდან აღვირს გაუშვებდა და ის ახლა
გადოვარდება მარხილიდან—არც თუ მღეროდა,
არც თუ რაღაცას წამოაყრანტალებდა ესტონურათ
ნაწყვეტ ნაწყვეტ, უარის სიტყვებით. უფრო ხში-
რათ არცეკი მღეროდა არამედ ჩუმათ, კბილებს მაგ-
რათ დაკრეპდა რაღაც გამოურკვეველი მმვინვარე-
ბის ტანჯვისა და აღტაცებისგან, მიექანებოდა წინ
დაბრმავებულსავით: წინ ვერავის ვერ ამჩნევდა,
ხაბარდათ არ იძახოდა, არც მოსახვევმი, არც და-
ლმართზე. ცხენს არ დაახვევინებდა. გაუგებარი იყო,
რატომ ერთხელ არავინ არ გასჭყლიტა, ან თვითონ
რატომ არ დაიღუპა ასეთი თავაშვებული მოგზაუ-
რობის დროს.

დოდი ხანია გაგლების ლირისი იყო, როგორც
წინა ადგილებიდან აგდებდენ ხოლმე, მაგრამ იაფათ
მსახურებდა, სხვებიც მაგაზე კარგები არ იყვნ,
ამიტომ იყო, რომ 2 წელიწადს იმსახურა: არავი-
თარ გარემოებას არა ქონია ადგილი იანსონის ცხო-
ვრებაში თუმცა ერთხელ ესტონურათ დაწერილი
წერილი მიიღო, მაგრამ რაღანაც თვითონ მან კით-
ხეა არ იცოდა, დანარჩენები კი ესტონურათ ვერ
ლაპარაკობდენ, ეს წერილი ისე დარჩა წაუკითხავი
რაღაცნარი ველური, მხეცური გულგრილობით,
თითქოს არ ესმის, რომ იმ წერილს სამშობლოდან
ამბავი მოაქვსო, იანსონმა ნაგავში გადააგდო იგი.
სუადა ერთხელ გაარშიყებოდა მზარეულ ქალს,
რადგან ეტყობოდა, უქალობა აწუხებდა, მაგრამ
მიზანს ვერ მიახწია და დაცინვითა და ხარხარით
გამოგლებულ იქნა უკან. დაბალი ტანისა იყო ჩა-
ჩურა კაცი, სახე ჭორფლიანი, წაწვრილ ებული,
თვალები მძინარა, ამღვრეული, წირბლიანი. თავის
დამარცხებას გულგრილათ შეხვდა იანსონი და იმ
ქალისთვის კრინტიც აღარ დაუძრავს მერმე.

ლაპარაკით ცოტის ლაპარაკობდა, მართალია,
იანსონი, მაგრამ სულ ერთავად რაღაცას ყურს
უგლებდა, მოწყენილ თველიან მინდონს, ცივი
ნეხვის ბურცებით მოფენილსა, რაც მას თოვლით

დაფარულ პატარა საფლავებს ამასგაცსებდა, უსმენდა ლურჯ, ნაზ, შორს მდებარე იღვილებს; ყურს უგდება ტელეგრაფის ბოძებს იუგუნს,, ადამიანთა ლაპარაკს. მხალოდ მარტო მან იცოდა რას ეუბნებოდა მას ტელეგრაფის ბოძები და მინდორი, ადამიანების სალაპარაკო მასალა კი იყო ხმები მკვლელობებზე, ცარცვა გლეჯაზე და ცეცხლის წაკიდებაზე. ერთ ღამეს გაისმა მახლობელ სოფელში საყდრის პატარა ზარის კინკილი, თითქოს ექვანის წკრიალიაო, მოისმა ტკაცანი ცეცხლისა, გამოჩნდა ოლი: ვიღაც მოსულებს გაეჭცარვათ მდიდარი ფერმა, პატრიონი და მისი ცოლი მოეკლათ, სახლის-რვის კი ცეცხლი წაეკიდებინათ.

იმათ ფერმაზეც შიშიანბა იყო: დღე და ღამე ძალლები აშვებული ჰყავდათ, და ღამ-ღამობით ფერმის პატრიონი თოფს ახლო იდებდა ხოლმე. ასეთივე, მხოლოთ ერთ-ლულიანი და ძველი თოფი უნდოდა იანსონისთვისაც მიეცა, მაგრამ იმან თოფი ხელში შეაბრუნ-შემოაბრუნა, თავი გააქნია და რატომ-ღაც არ აიღო. აღამ ვერ გაიგო უარის მიზეზი და გალანძლა იანსონი, მიზეზი კი ის იყო, რომ იანსონს მეტი იმედი ქონდა თავისი ფინური დანისა, ვინემ ამ ძველი, დაჯანგული თოფისა.

— ეგ თოფი თვითონ მე მომკლავს — მძინარეთ უთხრა იანსონმა აღს და უსიცოცხლო, გამოყლი-პული თვალებით შეხედა მას. აღამ კი სასოწარკვე-თილათ ხელების ჩანარეთ უთხრა:

— უჰ, რა ბრიყვი რამა ხარ, ივანე. მოდი და იცხოვრე შენ ამისთანა მუშების მოიმედე!

და ით სწორეთ ამ ივანე იანსონმა, რომელიც თოფს არ ენდობოდა, ერთს ზამთრის სალამოს, როცა მეორე მოჯამაგირე რკინის გზის სადგურზე გაგზავნეს მოინდომა იარაღით გატვარცვა ჩაედინა, ერთი კაცი მოეკლა და ქალი გაეცატ-იურებინა. საღაც შესამჩნევი სიმარტივით მოაწყო მან ეს: მზარეული ქალი სამზარეულოში ჩატკეტა, მძინარე კაცივით, ზანტათ მიეპარა უკანიდან თავის აღას და რამდენჯერმე მოუცვალა მას დანა ზურგში. აღა უგონოთ წაიქცა, მისმა ცოლმა პროჭიალი და ყვირილი მორთო, იანსონმა კი, ღრეჭით, დანის აქეთ-იქით ქნევით იწყო ზან-დუკებსა და კამოდებში ხელების ფათური, ამოილო ფულები, შემდეგ, თითქოს მხოლოთ ეხლა დაინახა აღას ცოლით, მოურიდებლათ მიეპარდა მას და უნდოდა ძალათ ეხმარა, მაგრამ, რადგანაც ხელიდან დანა გავარდნოდა, ქალი მასზე ლონიერი აღოჩნდა და არამც თუ არ დაანება თავი, კინაღამ დაახრი-

კრდეც. ამასთანავე იატაკზე გაისმა დაბრილის კაცის ხრიალი, მზარეულმა ქალმა სამზარეულოს კარებს ორკაბი მისცხო, იანსონმა მინდორს მიაშერა. არ გასულა ერთი სათი, რომ მას ჩაქუქულს მოასწრეს სარდაფის ერთ-ერთ კუთხეში, სადაც ის წუმწუმას წუმწუმაზე უკიდებდა, რომ ცეცხლი გაეჩინა შენობისთვის, მაგრამ უქრებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ აღა მოკვდა სისხლის მოწამლისებან იანსონი კი, როცა, მისი რიგიც დადგა, გასამართლეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. სასამართლოშიც ისეთივე იყო, როგორც მუდამ: პატარა, ჩანჩერა, ჭოფლიანი, გამოყლინ-ცული, მძინარა თვალებიანი. თითქოს არც კი ეს-მის კარგათ მის გარშემო რაც ხდება მის მინშენ-ლობაო; სრული გულ-გრილობა ეტყობოდა: თეთრ წამწამებს ათამაშებდა, რაღაც ცივათ, უხალისოთ ათვალიერებდა უცნობ დარბაზს, დაკორძებული, შუ-შხიანიგაჩიკინებული თითოთ ცხვირს იტიკიდა. ვისაც იგი ენახა, კვირაობით საყარაში, მას შეეძლო ეთქვა, რომ რამოდენიმეთ მორთული იყო: ყელზე ტალმიანი, წითელი ნაქსოვი შარფი მოეხვია და ზოგან თმები დაესველებინა; ამ ადგილის თმები სწორეთ ეწყო და მოშაო ფერი ქონდა, მეორე მხარეს კი იბურძგვილი იყო, როგორც ჩვეულა სეტყვიან განაღებურებულ ყანას:

როცა გამოუცხადეს ჩაბოხრჩიბის განაჩენი იან-სონმა უცბათ დელვა დაიწყო ეთბაშათ მთლად გა-წითლდა, ხან შეიკრავდა, ხან ისევ გახსნიდა შარფს თითქოს ახრჩობს შესო. შემდეგ რაღაც უაზ-როთ დაიწყო ხელების ფათური, მიმართა ერთ მო-სამართლეს, ჩუმათ რომ იდგა, და თითოთ უჩვენა მეორეზე, რომელიც განაჩენს კითხულობდა:

— ამ ქალმა სთქვა, რომ მე უნდა ჩამომახრ-ჩონ.

— რომელმა ქალმა? — ბოხის ხმით ჰკითხა თავ-მჯდომარემ განაჩენს რომ კითხულობდა. ყველას გაეღიმა ზოგს ულვაშებში, ზოგმა ქალაღლდები მი-აფარა, იანსონმა კი მიაშვირა მაჩვენებელი თითი თავჯდომარეს და ბლვერით გულმოსულათ უპასუხა:

— შენ!

— რა მე?

იანსონმა ხელახლა მიუბრუნა თვალები თავ-დაჭრილათ რომ იღიმებოდა იმ მოსამართლეს, რომელშიაც მან თავისი მეგობარი იგრძნო და გა-ნაჩენში არავითარი მონაწილეობის არამქონე ეგო-ნა, განიმეორა:

— იმ ქალმა სთქვა, რომ მე უნდა ჩამომახრ-

ჩონ. ნუ ჩამომახრჩობენ.

— გაიყვანეთ ბრალდებული.

მაგრამ იანსონმა კიდევ მოასწრო და ერთხელ კიდევ ბეჭითად და მტკიცედ გაიმეორა.

— ნუ ჩამომახრჩობთ.

ისეთი უაზრო იყო თავისი პატარა, გაჯავრებული სახით, რომლისთვისაც განგებ უნდოდა სერიოზული გამომეტყველება მიეცა, უაზრო თავისი გაჩიკინეული თითოთ, რომ დარაჯმი ჯარის კაცმაც დაარღვია სამხედრო წესები და ნახევარი ხშიოთ უთხრა დარბაზიდან გაყვანის დროს:

— რა ტუტუცი ვინმე ყოფილხარ, შენ ძამიავ...

— მე ნუ ჩამომახრჩობთ, —დაუინებით გაიმეორა იანსონმა.

— ისე ჩამოგაკონწიალებენ, რომ მზე მაღლა იყოს, ფეხების გაფხაკუნებასაც ვერ, მოასწრებ.

— გეოფა, ხმა იქმინდე! გაჯავრებით შეუყვირა მეორე სალდათმა პირველს, მაგრამ თვითონაც ვერ მოითმინა და დასძინა:

— მიღის და ხალხს ძარცვაც! რათ ჩაღუპე, ტუტუცო, ადამიანის სული. მიღი ეხლა და ჩამოკონწიალე.

— იქნება აპატიონი? — უთხრა პირველმა სალდათმა, რომელსაც შეეცოლა იანსონი.

— როგორ არა! მიართმევენ მაგისთანა ბიჭებს...

იანსონიც განუმებულიყო. მოიყვანეს და ჩასვეს რმავე, კამერაში, სადაც უკვე ერთი თვე გაატარებინეს და რომელსაც შეეჩერა ისე, როგორც ყველაფერს ეჩვერდა ხოლმე: ცემას, არაუს, დანაღვლიანებულ, დათოველილ მინდორს, მოფენილს სახაფლაოსავით მრავალი ზეინებით, ახლა გამხიარულდა კიდეც, თავისი საწოლი რომ დაინახა, თავის რკინებით გაბრდულ ფანჯარას რომ შევხედა და საჭმელი რომ მოუტანეს — უქმელი იყო დილიდან მოშევებული. უსიამოვნოთ ჩარჩა გულში რაც სასამართლოში მოხდა, მაგრამ ამაზე ფიქრი არ შეეძლო, არ იცოდა, როგორ უნდა ეფიქრნა. სრულებით ვერ წარმოედგინა სიკვდილი სახრჩობელაზე როგორ ხდებოდა.

იანსონს თუმცა სიკვდილი ქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ იმისთანა ბევრი იყო და ამიტომ მას დიდ დამნაშავეთ არა სთვლილენ ციხეში. ამიტომ მას უშიშრათ ელაპარაკებოდენ, უზრდელიათ ეპყრობოდენ ისე, როგორც სულ ყველას, ვისაც სიკვდილით დასჯა არ მოელის. თითქოს მისი სიკვდილი არ მიაჩინათ ნამდვილ სიკვდილით.

ციხის დარაჯმა რომ გაიგო იანსონს სიკვდი-

ლით დასჯა მიუსაჯეს დარიგების ცხმით მოიგონდა მას:

— ხომ ხედავ? დაგახრჩვეს!

— როდის ჩამომახრჩობენ? — უნდობლათ ჰეითხა იანსონმა

დარაჯი დაფიქრდა.

კაი გვარიანი ცდა მოგიხდება. სანამ ჯვრუს არ მოაგროვებენ. თორებ ერთისთვის და კადევ შენისთანასთვის თავს ვინ აიტკივებს? აქ საჭიროა კაცი ხასიათზე მოვიდეს.

— მაინც როდის? დაუინებით ეკითხებოდა იანსონი. მას ოდნავათაც არ სწყენოდა, რომ მისი ჩამოხრჩობაც არ ლირს თუ მარტო მის მეტა არავინ იქნება არ დაიჯერა ეს, იფიქრა, ალბათ უნდათ დასჯის დღე გადასდონ და მერმე მოლათ შემოცვალონ სიკვდილით დასჯაო. გულს სიამე მოუვიდა. შავბნელი და საშინელი წუთი, რომელზედაც ფიქრიც არ შეიძლება, საღლაც შორს მოიწევდა, ზღაპრული და ნაკლებათ დასჯერებელი ხდებოდა, როგორც ყოველივე სიკვდილი.

— როდის და როდის! გული მოუვიდა დარაჯს, უქცულს და დუდლუნა ბერიკაცა — ძალის ხომ არ ახრჩობენ, რომ წაიყვანონ დაჭკლან მორჩა შენ კი ასე გინდა ბრიყვი!

— მე კი არ მინდა! უკბათ მხიარულათ შეიღრუბლა იანსონი — ეს იმ ქალმა სთქვა ჩამოხრჩონ უნდა, მე კი არ მინდა!

და გეცინა, შეიძლება, პირველათ მთელს თავის სიცოცხლეში: გაეცინა რაღაც ჭრიალა, რაღაც ბრიყვული, მე რომ საშინელი მხიარული და ხალისიანი სიცილით. თითქო ბატმა დარყიდირა: ღალალი! დარაჯმა გაკვირვებით შეხედა იანსონს, შემდეგ წარბები შეიტმუნა: ეს უტვინო მხიარულობა დასახრჩობათ გამხადებული აღამიანს, შეურაცხყოფას აყენებდა ციხეს და თვითონ სიკვდილით დასჯასაც და რაღაც ძალზე ახირებულათ ხდიდა მათ. უკბათ ერთის წუთით, ერთი თვალის დახამძებით, ბებერ დარაჯს, რომელსაც მოელი სიცოცხლე სატუსაღოში გაეტარებინა, რომელსაც ციხის კანონები თვითონ ბუნების კანონებათ აღიარებინა: მოხუცს მოელი სიცოცხლე, მოელი ციხე რაღაც სიგიჟეთათ მოეჩვენა, თავისი თავი კი ყველაზე შეშლილათ დასახა.

— ფუი, ეშმაკის კერძო! — გააფურთხა მან. — რას იღრიჟები, სამიკიტონ ხომ არ ჰეონია აქ!

— მე კი არ მინდა. — და-და-და! — იცინოდა იანსონი.

— ჩვენთან არს ღმერთი! — სთქვა დარაჯმა და პიჯვარის გადაწერა მოაგონდა.

ეშმაქს ყველაზე ნაკლებ გადა ეს პატარა, წაწერილებულ-წალანტული სახის კაცი, მაგრამ მისს ბატისებურ ლალანში რალაც ისეთი მიალებოდა, რაც ციხის სიწმინდესა და სიმაგრეს სპობდა. ასე გეგონა, კიდევ ერთი რომ გაიცინოს — კედლები სიდამპლისგან დაინგრევა, რკინის მოაჯრები დაცივა, თვითონ დარაჯი გაუძლვება ტუსაღებს ჭიშკრის ენ და ეტყვის: მობრძანდით, ბატონებო, ისეირნეთ ქალაქში — ან იქნება ვისმეს სოფელში სურდეს გა-სეირნება?

მაგრამ იანსონი აღარ იცინოდა, თვალებს ჟუჭვდა მხოლოთ ეშმაკურათ.

მაშია — უთხრა რალაც მალული მუქარით და-რაჯმა და უკან-უკან ცქერით გაშორდა. მთელი ეს სალამო იანსონი დაწყნარებული იყო და მხიარუ-ლიც. წამ-და-უწუშ იმეორებდა თავის გულში თა-ვის სიტყვებს; მე ნუ ჩამომახრჩობთ და ეს სიტყვე-ბი იმდენათ ბეჯითი, იმდენათ ბრძნული და დაურ-ღვეველი იყო, რომ არაფერზე არ ლირდა წუხილი. თავისი დანაშაული დიდი ხანია დავიწყებოდა და მხოლოდ ზოგჯერ ნაღვლობდა, რომ თავის დიასა-ხლისზე ძალა ვერ იხმარა, მაგრამ ესეც ჩქარა დაა-ვიწყდა.

ყოველ დილას იკითხებოდა იანსონი, როდის ჩამოახრჩობდენ მას და ყოველ დილას გაჯავრებით უასუხებდა ხოლმე დარაჯი...

მოასწრებ, ეშმაკის კერძო! — და ჩქარა მოშო-რდებოდა, სანამ იანსონი გაცინებას მოასწრობდა. ამ ერთ და იმავე სიტყვებმა ყოველ დღე და აგრე-თვე იმ გარემოებამ, რომ თვით იყული დღე იწყებო-და, გადიოდა და თავდებოდა ისე, როგორც უბრა-ლო ჩვეულებრივი დღე, იანსონი მტკიცეთ დაარ-წმუნა, რომ არავითარი სიკვდილით დასჯა აღარ იქნება.

ძლიერ ჩქარა მიავიწყდა მისი საქმის გარჩევა და მთელი დღეობით ლოგინზე გორაობდა და ბუნ-დოვანათ, მხიარულოთ ოცნებობდა დალონებულ თოვლიან მინდვრებზე მათი ზეინებით, რკინის გზის ბუფეტზე და რალაც კიდევ უფრო შორეულსა და ნათლით მოსილზე. ციხეში კარგათ კვებავდენ და რალაც ძლიერ სწრაფათ, სულ რამდენიმე დღის გან-მავლობაში გასუქდა და თითქოს მედიდურებაც კი დაეტყო ცოტათ.

„ახლა ისედაც კი შეუყვარდებოდი იმ ქალს, — გაიფიქრა მან თავის დიასახლისზე: გავსკელდა, აღა-ზე ცუდი როდილა ვარ.“

მხოლოთ, არყის გადაკვრა სწყუროდა — უნ-დოდა ერთი ძალზე გადაეკრა და სწრაფათ, ძლიერ სწრაფათ განავარდებულიყო ცხენზე.

(შემდგი იქნება).

ა. ლომთათიძე.

მიმოკონების ზეირთთა დუდუნი...

1.

როცა გულს ეკალი მაჩხვლეტი, თვალი ცრემლში აცურდება, შავი გველის ხვრელს სისინი არეს ზარავს, ყურებს წვდება, —

შენ გიგონებ, მეგობარო, გვერდით მყავხარ სულზე მტკბარი!

როცა შვებას ფრთებს მიჟიან, იმედს უხმობს გლოვის ზარი,

აღმოფრენას მისამარებს

შავი ბედი გულ საზარი, —

შენ გიგონებ, მეგობარო,

გვერდით მყავხარ სულზე მტკბარო!

შენგან ცელი მაშინ ნუგეშს

ტუბილ ხმას ვუცდი, ველი შველას, ..

მეგობარო, ამ წამს მხსნელო,

მირჩევნიხარ ყველას... ყველას...

2.

მახსოვს შავ თვალა, გულში მეკროდა ვეკონებოდი, მეყანებოდა...

ვნების ტალღებში ჩემთან მცურავი,

ვით კელაპტარი წმინდა ღნებოდა ..

ჩემს ბუტკუნჩულას მეკრდს უუკოცნიდი ყელს მეხვეოდა გრძნობით მთრთოლვარე...

მეფუცებოდა, ვეფუცებოდი,

რომ ვერ დაგვთაშვეს თუნდაც სამარე...

მკლავებში ჩაწნულოთ არრა გვახსოვდა, ერთი გვეგონა ორი სხეული...

დღეს-კი საღაა ჩემი გოგონა,

გულ მოსკვნილი, ტურფა, გრძნეული??..

ვინ, ვინ წამართვა ჩემი ღვთაება?

ქორფა, უმანკო, თვალებ უუცუნა....

ხან, ვით კუდრაჭა მერცხლებ ჭიკეტა,

ხან კი ბუნჩულა მტრედი ღულუნა?..

ახ, საღარიან

შავი თვალები?

ვენაცვალები,

თავს დაფკვდები,

საფლავს ჩავყვები!..

3. მალაქიაშვილი.

ო ბ ო ბ 8

(შემდეგი. იხ. სხივი № 6)

საზაგათი 1 გართი.

ქ-ნმა დიუბონებ ახალი ზონარი მოიტანა, ის ყოველივე შემთხვევით სარგებლობს, რომ ჩემთან შემოვიდეს. ის მუდამ იმ უბედურ შემთხვევების შესახებ ჩამოაგდებს ხოლმე ჩემთან ლაპარაკს, მაგრამ რაც ვიცოდი იმაზე მეტი ვეღარაფერი გავიგე მისგან, ის მუდამ თავისებურათ ხსნის თვითმკვლელობის მიზეზებს. არტისტის შესახებ ამბობდა, რომ ვიღაც უყვარდა და იმიტომ ჩამოიხრჩო თავიო. კომიტივიაუერმა კადევ რაღაც დიდი საქმები წააგო. სერეანტმა კი იმიტომ მოიკლა თავი, რომ ამით უნდოდა უსიამოენობა მოეცნებია ჩემთვისო.. მე მუდამ სიამოვნებით ვისმენ მის ლაპარაკს.

სუთიზაგათი 3 გართი.

ახალი არაფერი მომხდარი. კომისარი, დღეს ორხელ შემეცითხა ტელეფონით. მე უპასუხე, რომ ყველაფერი რიგზეა და ახალი არა მომხდარი რა... მას ეს ვერ აქმაყოფილებს.

საუცხოვო ვსცხოვრობ. ვკითხულობ და ვკითხულობ. მე მინდა ვისარგებლო ამ თავისუფალი დროთი და რაც შეიძლება მეტი ვიმეცადინო, განა რომელიმე სტუდენტი მელიკი ჩემსავით კარგათ სცხოვრობს?... ხუმრობა ხომ არ არის მუქთი ბინა, სასმელ-საჭმელი....

კარასევი ნაზუაღლების 2 საათი.

შშვენივრათ ვისადილე. დიასახლისი შამპანიურით გამიმასპინძლდა, მაგრამ ისე მიყურებდა, თითქოს მკვდარი ვეგონე, წასვლის დროს ცურეპლებული თვალებით მთხოვა ცოტა ხნით გასულა-ყავ თახიდან, ილბათ მას უნდოდა „მწუხარება“ არ მიმეუცნებია მისთვის, როგორც სერეანტმა, მი-ვედი სარკმელთან და დავათვალიერე ახალი ზონარი, ნუ თუ ამ ზონარზე უნდა ჩამოვიხრჩო თავი? არა, მე სრულიადაც ამის სურვილი არა მაქს, მე-რე ზონარი ისეთი მოუხეშვია, რომ ძალიან მონდომებული უნდა იყოს კაცი, რომ გაბედოს ამ ზონარით თავის ჩამოიხრჩობა.

ვზიგარ მაგიდასთან, მარცხნით—ტელეფონი მარჯვნით რევოლვერი. არაფრის შიში არა მაქს, მაგრამ ცნობის მოყვარეობა მიტაცებს.

სალაშოს 6 საათი. ეროვნული ბიბლიოთი

არაფერი არ მომხდარა, თვითმკვლელობის სათოი გავიდა. სიმართლე უნდა ვსთქვა, დრო და დრო სურვილი მქონდა ხოლმე მიესულიყავ სარკმელთან, მაგრამ ეს სულ სხვა მოსაზრებით.

კომისარმა ბარე თჯერ დამირეკა ზარი, იმასაც ისეთივე მოუთმენლობა ეტყობოდა, როგორც მე.

ქ-ნი დიუბონე ფრიად კმაყოფილია, მთელი ერთი კვირა გავიდა და ამ შეცელ თახაში არავის არ ჩამოუხრჩვია თავი საკვირველია.

ორშაგათი 7 საათი.

მე დავრწმუნდი, რომ არავითარი საიდუმლოების ალოჩნა არ შეიმიძლია და თუნდაც სანაძლევს დავსდებ, რომ სამივე თვითმკვლელობა შემთხვევით მოხდა ერთ და იმავე დროს.

კომისარს ვთხოვე გულ დასმით გადასინჯოს სამივე თვითმკვლელობის ოქმი. ჩვენ მხოლოდ ამ გზით შევგიძლია გავიგოთ ამის ძირითადი მიზეზები.

თავისთვათ ცხადია, რომ მე ყოველივე ღონეს ვხმარობ ხანგრძლივი იყოს ჩემი ამ ოთახში ყოფნა. განა ხუმრობა საქმეა—ძალზე გავსუქდი და შშვენივრათაც ვძეცადინობ და ბოლოს ერთი მიზეზიც არის რაც მე მაიძულებს ვიყო ამ ოთახში და სარკმელთან ახლოს ვიდგე.

ოთხშაგათი 9 გართი.

კლარიმონდა... აი ის მესამე მიზეზი, რომელმაც მიმჯაჭვა ამ ოთახს. აი ის მომჯადოებელი ძალა, რომელიც მე მუდამ სარკმელისკენ მიმიწევს... რასკვირველია იმისთვის კი არა, რომ თავი ჩამოვიხრჩო.

კლარიმონდა... საკვირველია რათ ვუწოდე მე მას ასეთი სახელი. მისი ნამდვილი სახელის შესახებ წარმოდგენაც არა მაქს, მაგრამ ვადაცსწყვიტე რომ მას ამ სახელს ეძახიან. თუნდაც სანაძლევს დავდებ, რომ მას კლარიმონდას ეძახიან.

გაღმოვედი თუ არა ამ ოთახში პირველ დღესვე შშვენიშნე კლარიმონდა, ის ჩემი სარკმელის პირდაპირ სახლში სცხოვრობს, ჩვენ ვიწრო ქუჩა გვაშორებს ერთი მეორეს. ის მუდამ სარკმელთან ზის; უნდა აღვნიშნო, რომ მან პირველმა მომაქცია ყურადღება, ხაკვირველიც აქ არაფერია! ყველა მეზობლებმა იციან რა მიზნითაც დაგებინავდი ამ ოთახში.

მე ძალიან ნაკლებათ ვიცი შეყვარება. მეტის მეტი თავდაჭერილი ვარ, როცა პროფინციიდან პარიგში მოღიხარ, რომ მედიცინია შეისწავლო და ნახევარჯერ მშიერი ხარ სიყვარულისთვის არ გუხელა მაშინ. ამიტომ ამ მხრით სრულიად გამოუცდელი ვარ და, ალბათ სულელურათ დავიწყე საქმე.

მაგრამ მე ის მომწოდეს.

პირველათ მე აზრათაც არ მომსვლია რაიმე დამოკიდებულობა დამეჭირა მასთან. მე ასე ვფიქ-რობდი, სანამ ამ ოთახში ვარ გულს გადავაყოლებ მას... შემდეგ კი ძალა უნდებურათ იძულებული ვიქ-ნები თავი დავნებო... ძალიან ძნელია მთელი დღე იჯდე და წიგნებს ჩასჩიჩინებდე. მე აღმოვაჩინე, რომ კლარიმონდას მთელი ზემო სართული უჭირავს, თუმცა ის მუდამ ჩემს პირდაპირ სარ-კმელთან ზის. ზის სარკმელათ დაართავს ძაფს სპი-ლოს პატარა ჯარაზე. რამდენათმე ეს კიდეც მა-კვირვებს. ის მთელი დღე დაუსვენებლივ ართავს. მხოლოდ როცა ბნელდება, მაშინ ანებებს თავს მუ-შაობას, მის ოთახში სინათლე ერთხელაც არ და-მინახავს. კარგად არ ვიცი როგორი შეხედულობი-საა. შევამჩნიე, რომ შავი, მღელვარე თმა აქვს, პატარა, თხელი ცხვირი, ფერმერთალი ტუჩები და პატარა კბილები. თუმცა ოთახში ნახევრათ ბნელა, მაგრამ მისი თვალები ცეცხლივით ანათებენ.

ტანო მუდამ შავი კაბა აცვია. ხელშე შავი ხელთათმანები.

როგორია ჩვენი დამოკიდებულობა? რასაკვირ-ველია ზეზეური: დავიწყეთ მით, რომ მან შემოიხედა ჩემს სარკმელში და მეც შევხედე.

ალბათ მე მაზე კარგი შთაბეჭდილება მოვახ-დინე, რაღან დიღხანს მიყურა და გამიღიმა კი-დეც, მეც ღიმილით გავეცი პასუხი.

ასე გაგრძელდა ორ დღეს. ისე შევეჩვიე, რომ დიღ-დიღლაბით სალაშაც ვაძლევ. კლარიმონდაც მეგობრულათ თავს მიკრავს ეხლა.

ხუთშაბათი 10 შარტი.

გუშინ დიღხანს ვიჯექი და ვმეცადინეობდი, მაგრამ ამათ, არაფერი არ გამოდის, უშეტეს დროს კლარიმონდაზე ვოცნებობ. ღამე ცუდათ მეძინა. დიღლით ადრე, როცა სარკმელთან მივედი, ის უცვე ამდგარიყო და მუშაობა დაეწყო.

ერთმანეთს მივესალმეთ, მან გამიღიმა და დიღ-ხანს მიცემურადა თვალ-მოუშორებლათ.

მინდოდა მეცადინეობა დამეწყო, მაგრამ ამათ.

დავჯექ სარკმელთან და ცქერა დავუწყეს შეცნიშნე, რომ არც ის არაფერს არ აკეთებდა მე ფარდას გავსწიე, —იმანაც ასევე ქნა. ორივემ გავიღიმეთ.

ვფიქობთ, რომ ამ მდგომარეობაში ვიყავით მთელი საათი.

შაბათი 12 შარტი.

დღეები ასე გადიან: ვჭამ,, ვსვამ, ვზივარ სა-მუშაო გაგიდასთან, ყალიონს ვეწევი და წიგნებს ვკითხულობ. ვკითხულობ, მაგრამ ჩემს თავში არა-ფერი არ შედის. მცდივარ სარკმელთან, თავს ვუკ-რავ კლარიმონდას... ვუცქერით ერთმანეთს და ვი-ღიმებით... ყველაფერი ეს მთელი საათი გრძელდე-ბა.

გუშინ სალაშოს ექვს საათზე ცოტათი შევ-შფოთდი. ჩქარა ჩამობნელდა და რაღაც სევდა ვიგრძენი. ვიჯექი მაგიდასთან რაღაცას მოლოდინ-ში. საშინლათ მინდოდა სარკმელთან მივსულიყავ, მაგრამ არა იმტომ, რომ თავი ჩამომეტრჩო, არამედ კლარიმონდა დამენახა. ზეზე წამოვვარდი.. მე ის ასე კარგათ ერთხელაც არ დამენიახა.

ის ართავდა, მაგრამ ამავე დროს თვალებს არ მაშორებდა, მე ვგრძნობდი რაღაც გამოუთქმელ სიამოვნებას და ამავე დროს სევდასაც.

ტელეფონით დარკეც. მე ბრაზი მომივიდა, რომ ასე წამ და უწუმ მაწუხებდა კომმისარი თავის სულელური კოთხვებით.

დიასახლისი ძლიერ კმაყოფილია ჩემი და მა-ქებს კომმისართან, მაგრამ ის ამით ვერ კმაყოფი-ლდება და დაუინებით თხოულობს რაღაც შედე-გებს.

მე მას გავაცანი ზოგიერთი ჩემი დაკვირვებანი და განვუცხადე, რომ ჩქარა გავიგებ საი ღუმლობასაც. სულელმა დაიჯერა ჩემი სიტყვები. ვფიქრობ რომ რამდენიმე კვირას კიდევ მოვახერხებ აქ ცხოვრე-ბას და მეტა არა მინდარა. ყოფნა იმტომ კი არ მინდა, რომ ქნა დიუბონეს უცქერო, ვისარგებლო მუქთი ოთახით და სასმელ-საჭმელით. არა, მე მიზი-დავს სარკმელი, რომელიც ასე საშინლათ შემიყვარ-და.

როგორც კი ავანთებ ლამპას, მას ვეღიარ ვხე-დავ. რამდენჯერ არ დავაკირდი დამენახა ის ქუ-ჩაში გამოსული, მაგრამ ვერ დავინახე. ის სრულიად არ გამოდის გარედ.

აღარ შემიძლია მეცადინეობა.. წავიკითხავ 2—3 ვერდეს და ვრწმუნდები, რომ თავში არაფე-რი დარჩა.,. თვალები ხედვენ... ტვინში არაფერი

არ შედის... საკვირველება! თითქო იქ ასეთი წარწერა იყოს: „აქ შესვლა აღკრძალულია.“ თითქოს იქ მარტო კლარიმონდას ქანდეს ადგილი სხვას არაფერს.

პლირა 13 მარტი.

დღეს დილით ერთ ამბავს წავაშედი. ოთახებს გაწმენდის დროს დერეფანში გამოვედი. სარკმელთან, რომელიც ეზოში გადის ობობას ქსელი გაუბამს და თვითონ შიგ ჩამჯდარა არხეინათ. ქნი დიუბონე ნების არ აძლევს დაშალონ აბობას ქსელი... მისი აზრით აბობას ბეღნიერება შეაქვს ოჯახში... აგრე მეორე აბობა, რომელიც ნელა მიცოცავს ქსელის შუაგულისკენ, საქაოა დედალი ობობა შეინძრეს, რომ მამალი უკან გამორბის. ხელ ახლა სცდილობს მიუახლოვდეს დეალ აბობას, ჯერ, ნელა, შემდეგ ჩერა, მაგრამ დედალი ობობა არ ინძრევა. ბოლოს მივიდა მასთან. დედალი ობობა გულში ჩაიკრა. გადის რამდენიმე წუთი... ცოტა ხნის შემდეგ მამალი ობობა შორდება დედალს და უნდა წავიდეს. გაინთავისუფლა თავი და გაიქცა. მაგრამ დედალი ობობა გამხეცებული გამოუდგა მას.

ორივე ერთ დროს ჩამოვარდა ძირს. მამალი ობობა მთელ ძალ-ლონებს ხმარობს, რომ თავი გაინთავისუფლოს და გაიქცეს. იჭერს დედალ ობობას მიყავს ქსელის შუაგულში და უნდა იქ დასტოვოს, მაგრამ გვიანდა. მას უნდა თავი გაინთავისუფლოს, მაგრამ დედალ ობობას ის მაგრათ ჩაუხვევია.

რამდენიმე ხნის განმავლობაში მან ისე დაღალა მამალი ობობა, რომ მას განძრევის თავიც აღარ ქონდა. ის თითქმის დააკვდა მას, გამოსწუწნა უკანასკნელი სისხლი და როგორც უვარვისი ნივთი გადააგდო—ასეთია ამ არსებათა სიყვარულის გამოხატულება, მიხარია, რომ ამ ცხოველთა ჯგუფს არ ვეკუთნი.

(დასასრული იქნება).

ირეთელი.

ღ ე ღ ე ს.

ნუ მტანჯავ, დედა, ნუ მაჩვენებ
სახეს გაკაშრულს;
ნუ, ნუ მაგონებ, გენაცვალე,
საშინელ წარსულს.
ნურც მას მაგონებ, ჩემო კარგო,
რაც გვტანჯავს ჩვენ დღეს,

წუთ-წამით მაინც მომასვენება და მომომდება—
გული მოილენს.
დაჩუმდი, დედა,—მოიძულე
შენ შენი შეილი,
უთხარი; წადი, დაამსხვრივ
ტანჯვის ბორკილი;
მოკვდი, თუ უაზე მზე ცხოველი
ამობრწყინდება,
თუ კი ქვეყანას სხივი უხვათ
მოეფინება.
მე მინდა, დედა, გამაგონო
ეგ ხმა გმირული;
შენთვის მოკვდები და ყველასთვის—
დევნილ-ტანჯული.

8. გელა.

ცოტა რამ ხელოვნებაზე.

III

როგორც წინა წერილში მოკლეთ აღვნიშვნეთ, სიმშევენიერის შთაბეჭდილება, ესტეტიკური სიამოვნება თითქმის სრულიად თავისუფალია, სრულიად მოკლებულია პიროვნულ-სუბიექტური—ინტერესის, რეგ არ არის სუბიექტიური სურვილ-ვნებისაგან შეპყრობ-ლ-შეკოჭვილი. მაგ. ხილს, ცხენს, მშვენიერათ მოქარებულ ტანისამოსს, შენობას შეუძლიანთ ადამიანის თვალის სიამოვნება დაატებონ, მოლოდ ეს სიმშევენიერის სიამოვნება, რომელსაც კი ადამიანი დასახელებულ ობიექტებიდან (საგნებიდან) განიცდის, არ გავს ადამიანის ჩვეულებრივ სურვილს, მის ჩვეულებრივ გულის თქმას; უკანასკნელი, ე. ი. ადამიან ს ჩვეულებრივი სურვილი ხილით მხოლოდ სტკება, ან სიამოვნებს, ცხენით დაიარება, მესამეოთი იმოსება, მეოთხეში თავს იფარავს. ადამიანის იმნაირ ამგვარი სურვილებს არავითარი კავშირ—ურთიერთობა არა აქვს მის ესტეტიკურ სიამოვნების გრძნობასთან.

რასაკვირველია, ჩვენ ამით იმის თქმა არ გვინდა, ვითომ ამა თუ იმ საგნის სიმშევენიერე, მისი ესტეტიკური სიამოვნაბა, რომელსაც ისინი ადამიანში იწვევენ, აღვიძებენ, რამე შორეული კავშირი არა ქონდეს ადამიანის შინაგან სულიერ ცხოვრებასთან, მის გრძნობა, აზრთან და მიღრეკილებასთან. ეჭვს გარეშეა, რომ არსებობს მათ შორის ერთგარი ურთიერთობა. ყოველი სიმშევენიერის შთაბეჭდილებას აქვს ერთნაირი კავშირი ადამიანის ხორციელ

გრძნობასთან; მაგრამ მათ შორის ეს კავშირი ურთიერთობა ისე უსაზღვროთ მრავალნარათ გადახლართულია, რომ დიდ შემთხვევაში ეს კავშირი ადამიანის მიერ შეუგნებელი რჩება. პირველათ, ეჭვი არ არის, ცხოველების და ველურ ადამიანების ს-მშვენიერის გრძნობა პირ-და-პირ მათ ხორციელ სიამოვნებიდან, ხორციელ სურვილებიდან წარმოიშვა; ასეთ გრძნობათა ნიადაგზე აღმოცენდა ადამიანის პირველ-ყოფილი ესტეტიკური გრძნობა. ამისათვის ყოველი სულდგმული, თუ კი ეს მცირეოდენ მეხსიერების უნარით არის აღჭურვილი და ამა თუ იმ გარეგან ფორმასთან, ან ფიგურასთან, ამა თუ იმ ფერთან, ამა თუ იმ ტონთან (ხმასთან) შეკავშირებულია მისი ერთნაირი წარსული ს-ამოვნება, ახსენდება თავის წარსული სასიამოვნო სენსაციური მოვლენები, იგი ამათგან მუდამ ერთნაირ სიმშვენიერის შთაბეჭდილებას დებულობს. აი სწორეთ ამ პირველ-ყოფილ ნახევრათ ცხოველურ და სოციალურ ადამიანთა სიმშვენიერის გრძნობათა შორის, რასაკეირველია, უთვალავმა ხორციელმა და მორალურ ხასიათის ასოციაციებმა შემაერთებელი ალაგი დიკავეს. რამდენათაც ეს შემაერთებელი ასოციაციები მრავალია და რამდენათაც ადამიანის მრავალგვარი გრძნობები, წარმოდგენა—იდეიები ძრიელათ და ღრმათ იწვევენ მის სულიერ ცხოვრებაში სიმშვენიერის შთ ბეჭდილებას, იმდენათ უკანასკნელი ხანგრძლივათ რჩება ადამიანის მეხსიერებაში, წაუშლელ კვალს სტოკებს მის სულიერ არსებაში. ასე რომ, ადამიანის სიმშვენიერის გრძნობა, პირველათ სუსტი და ცალ-მხრივი, ცხოვრების განვითარებასთან, სოციალურ ურთიერთობის ალორძინებასთან ერთათ ვითარდება და მრავალ მხნოვანი ხდება. პრიმიტიული ადამიანი, თავისი პრიმიტიული მიღრეკილება — შთაბეჭდილებებით გადაშრეტელ როლს თამაშობენ სიმშვენიერების გრძნობის განსაზღვრაში, სიმშვენიერების უმთავრესათ მისს პიროვნულ — სუბიექტიურ მატერიალურ ინტერესით განიზომება, რომ ეს ასე. ამის მაგალითს აშკარათ ჭედავთ გლეხის განუვითარებელ ბუნებრივ გრძნობაში. გლეხ-სათვის ბშვენიერებათ ითვლება და ირიცხებიან ყველა ის ბუნებრივი მოვლენები და ხილული საგნები, რომლებიც კი რამენაირათ შეკავშირებულები არიან მის კარგ მოსავალთან; ლამაზი ცხენი, მის, შეხედულებით ის არის, რომელიც კარგი გამწევი და ღონიერია, ბშვენიერია საკლავი და გასუქებული ძროხა. კულტურულ ადამიანის სულიერი განწყობა, სულიერი სიმშვიდე კი სულ სხვაგვარია, სიმშვენიერის შთაბეჭდი-

ლება, რომელიც კი მ-იდროთ შეკავშირებულია ობიექტიურ ინტერესებთან, ხორციულ სიამოვნებასთან, მისთვის, ე. ი. კულტურულ ადამიანისთვის სრულიად უმნიშვნელოა. ახლა მისი სიმშვენიერის სამეფო მეტათ გაფართოვდა და შეტის-მეტათ ვართულდა. კულტურულ ადამიანს შეკლიბან სიმშვენიერის გრძნობით დასტყბეს, თუნდაც, რომ სიმშვენიერის ობიექტი (საგანი) მისს კლასისა და დროს გარეშე იყოს, თანამედროვე კულტურული ადამიანები აღტაცებაში მოდიან, რა გიხსენებენ ძველ საბერძნეთის იდეურ განვითარების სიდიადეს, რენესანსის, ძალას, ყველა ესენი ერთათ აღებული დიად სიმშვენიერის სიამოვნებას იღებს, მიუწდომელ მშვენიერის შთაბეჭდილებას დებულობს.

ასე, კულტურულ ადამიანისათვის, ის კავშირი, რომელიც კი არსებობდა პირველ ყოფილ ადამიანის სუბექტიურ არს, სუბექტიურ ინტერესსა და სიმშვენიერის შთაბეჭდილებათა შორის ს-ულიად მოისპო, მან მას ერთხელ და სამუდამოთ თავი დაანება. მაგრამ ადამიანის სიმშვენიერის შთაბეჭდილებამ, რასაკურველია, არ გასწყვიტა მის მთელ შინაგან ცხოვრებასთან, მთელ აზრებთან, შააბეჭდილებას და მიურიკილებსთან. თუ რომ ხორციელი შთაბეჭდილებანი ადამიანს სხვა და სხვანაირ თვისებები სიამოვნებას აყენებს, ეს გარემოება აშკარათ მისს მღალადებელია. რომ ყველა ეს შთაბეჭდილებანი მისთვის ამნაირ რასმე შეიცავს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მასთან ბევრს არას იგრძნობდა. არიგითარ შთაბეჭდილებას არ მიიღებდა. ყველა ესენი, განსაზღვრულ პირობებში ადამიანის ცხოვრების გრძნობას ამაღლებს, მას ერთნაირათ აფაქიზებს, აღამიანს ერთნაირ ბელნიერებას ანიჭებს. ძალიან მოხერხებულათ განმარტავს სიმშვენიერებ ცნობილი მცენდალი, როცა იგი ამბობს, რომ სიმშვენიერებ ბეღნიერების მიმნიჭებელია. ჩვენის აზრით სიმშვენიერის ასეობი განმარტება სრული ჭეშმარიტებაა. რომელიმე სურათი, რომელიმე ხელოვნური ნამოქმედარი ერთნაირი გაღმოცემაა, სიამოვნება მცნიერებისა, ესენი აღვიძებენ ჩვენში სიმშვენიერის გრძნობას. იმისათვის კი არა, რომ ესენი თავიანთ დანიშნულებით შეკავშირებული იყვნენ პირადულ ინტერესებთან, ჩვენს მორალურ და მატერიალურ გრძნობასთან. არამედ მისთვის, რომ მათ შუდამ აქვთ რამენაირი კავშირი ცხოვრების დაუსრულებლობასთან, შეკავშირებულია ცხოვრების რომელიმე მხარესთან, რომელიც საერთოთ კაცობრიობას რამე ბეღნიერებას ანიჭებს

რამე ბელნიერებას აგონებს. ემანიულ კანტი ამბობს:
შთაბეჭდილება, გრძნობა, გრძნობათა მოძრაობა
ესტრიკურ სიმოვნებათა არსებობასთან შეუერთე-
ბელ შეუთანხმებელია. წინაღმდეგ, მარქისი-
ტები იტყვიან რომ სიამოვნება მუდამ და ყოველ-
თვის შთაბეჭდილება, იგი არ, არის ციფი, გათიშუ-
ლი გადაწყვეტილება, მჯავრი, იგი მუდამ სულის
მოძრაობასთან, ნების მისწრაფებასთან შერეულ-შე-
დუღებულია. სიმშევნიერის, სიამოვნება სულ სხვა
ჯურის სულ სხვა თვისების გრძნობის მოძრაობაა,
მაგრამ ამაზე შემდეგ.

შვარცი.

წამით განცხოვა.

(ნ—ს.)

სულის სიმშევიდე, სიყვარული, ლმობიერება,
გულში სიშმინდე დამარხული და სათნოება,
— ვით სიდიადე ბუნებისა
ანკარა წყალში —
ისე ლვოიურსა შენს თვალებში აღიბეჭდება!

შეც ხშირად შევცექ შენს ნაზსა და უმანკო
თვალებს,
ცხოვრებისაგან ტანჯულ ჩემ გულს იგი ახარებს,
კაეშანს მიქრობს, გულს მიმშევიდებს
იმედს მიახლებს,
და „წინ, წინ წადი, გაექარეო“, თითქო მა-
ვალებს!

ოს ნეტავი მას, ვინც შენს ტაძარს ლამპარით
ხელში
კარსა მიადგეს რომ შევიდეს საკურთხეველში!
ილოცოს მარად, მუნ დასთხიოს
ცრემლი მდულარი
და დამშვიდებით განისვენოს ტკბილ სამყო-
ფელში

ფ. რუშაველი.

რუსულ ახალ მწერლობის ისტორია

(შემდეგი ს. „სხივი“ № 6).

II.

დასავლეთის გავლენა,—იმ ისტორიულ მოვლენების
განსხვავება, რომლებსაც გავლენა ქონდათ საზოგადოებრივ
აზრზე გერმანიაში და საფრანგეთში—ნემცური მეტაფიზი-
კური ფილოსოფია—ლოკი და იუმი.—კანტი და მისა მო-
ღვრება შემეცნებაზე —ფიზი —გაგელი —აბსოლუტური
იდეა; დიალექტიური მეთოდი; გეგელიანობა და სინამდვი-
ლე.

ამ ორ იდეიაში ადვილი შესამჩნევია ორი დე-
და ძარღვი. ერთში ფეთქდა ახალი ცხოვრება, მეო-
რე კი აშორდა ადამიანს ამ ქვეყნიურ ცხოვრებას,
სინამდვილეს და იქ, შორს ლცნების სამთავროში
მიყავდა. პირველი მიმდინარეობა მოდიოდა საფრან-
გეთიდან, ხოლო მეორე გერმანიდან. თუ რათ უქ-
ცვდა გვერდს ნემცნური აზრი ცხოვრების სინამ-
დვილეს ამის მიზეზები ბევრი იყო. მეჩვიდმეტე
საუკუნის პირველ ნახევარში გერმანია წარმოადგენ-
და ისეთ ასპარეზს სადაც სარწმუნოებრივი ფანა-
ტიზმი სისხლის ქელებს მართავდა. ოცდა ათი წლის
ომშა, რომელმაც უკიდურეს. სილატაკემდი მიიყვანა
ხალხი, გროვის ფასათ აქცია ადამიანის სიცოცხლე
აყვავებული ქალაქ-სოფლები განადგურა, ტყე ვე-
ლი უდაბნოთ გადააქცია —დიდი სინით შეაჩერა
ქვეყნის კულტურული ზრდა განვითარება. ეს ომი
გათავდა ვესტფალის ზავით, რომელმაც გერმანია
მრავალ პატარ-პატარა სახელმწიფოებათ დაჰყო.
გერმანიაში ნაციონალური პოლიტიკურ სიცია-
ლური აზრი და რაკი პოლიტიკურ ცხოვრებაში არ
იყო ერთობა, გონიერივ ცხვრებაში დაწყეს ამის
ძებნე. მა ომშა გასტეხა გერმანია და დიდი დრო
გავიდა სანამ ის წელშ გაიმართებოდა მეჩვიდმეტე სა-
უკუნები, როცა ინგლისში ლოოკი ქმიდა თავის
დიად სახელმწიფოებრივ, სარწმუნოებრივ და პე-
დაგოგიურ იდეებას, როცა საფრანგეთში ყალბ-
კლასიკურ პოეზიის გვერდით, რომელშიაც გამოკრ-
თოდა დამკანარ აბსალონურიზმის სახე, მოლიერის
კომედიებში გაისმოდა საზოგადოებრივ-სატირიულ
მათრახის ტლაშანი, —ამ დროს გერმანიაში არც
კაზმულ ლიტერატურაში, (თუ სახეში არ მივიღებთ
გრიგორის გაუზენის რომანს არც შეცნიერულ-ფი-
ლოსოფიურ აზროვნობაში, (თუ მხედველობაში არ
მივიღებთ განმარტოვებით მდგომ ლეიბნიცს.) ვერა-

უერს ვერ შესვდებით ისეთს, რაზედაც შეიძლებოდა ყურადღების მიქცევა, მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში როცა საფრანგეთში პოლიტიკური ნიდაგი მზადდებოდა, რასაც რევოლუცია მოყვა, გერმანიაში ესტეტიური და ფილოსოფიური დავა ფეხს იკიდებდა. და ბოლოს მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, როცა საფრანგეთში უკვე იფეთქა რევოლუციამ, გერმანიაში კაზმულ მწერლობით და განყენებული აზრებით იყვენ გატაცებულნი.

თითქმის შილლერიც კი, თავის გატაცებულ მისწრაფებით თავისუფლებისადმი, რომელმაც თავის „უჩალებით“ რევოლუციისაგან საფრანგეთის მოქალაქის სახელშოდება მიიღო, უარყოფით უყურებდა საფრანგეთის რევოლუციას და თავისი ლოტერატურული მოღვაწეობა იმით დაასრულა რომ ყველივე კავშირი გასწყვიტა, სინამდვილესთან და ხელოვნების კულტურასთან. ამ დროის დრებული პეტი გიორტე არ ფარავდა თავის ზიზღს რევოლუციისადმი. ის შეუძრეკელ თვალებით დასქეროდა მღელვარე კაცობრიობას და იმ დროს როცა საფრანგეთში სისხლის ნიაღვარი დგებოდა ადამიანთა საზოგადოების საბედის-ჭერა კითხვის გადასაწყვეტათ, ის არხეინათ იჯდა და თვის უკვდავ ფაუსტს ქმნიდა. 1830 წელს საფრანგეთის აკადემიაში მოხდა შესანიშნავი დავა კიუვიესა და სენტ-ილერს შორის. ორ ავგვისტოს 1830 წელს კი ვეიმარში, სადაც გიორტე სცოვრობდა ცნობა მოვიდა ივლისის რევოლუციის შესახებ, „როგორ უყურებთ ამ დიდებულ ამბავს?—მიმართა გიორტემ ერთ თავის მეგობარს, რომელიც მასთან მივიდა—ბოლოს გადმოჰყეთქა ყველაფერი ცეცხლის აღში გაეხვია; ეს დახურულ კარებში კამათი არ არის“—„საშინელი მბავია — მიუგო მეგობარმა—მაგრა ამ ასეთ პირობებში და ასეთ სამინისტროს დროს სხვა არა იყო რა მოსალოდნელი, საქმე ალბათ იმით გათავდება, რომ მეფეს გაძევებენ საფნგეთიდან ოჯახობით.“—„ჩევნ ერთი მეორის არ გვესმის—უხრა გიორტე—მე ამ ხალხშე სრულებითაც არ ვლაპარაკობ; მე სულ სხვა მაინტერესებს. მე ვლაპარაკობ იმ დავაზე, რომელიც ხდება კიუვიესა და სენტ—ილერს შორის აკადემიაში და რომელსაც დიადი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის.“ ამ რამდენიმე სიტყვაში აშკარათ სჩანს რა აინტერესებდა ამ დროს არა თუ მარტო გიორტეს, გერმანიის ინტელიგენციის უმრავლესობის. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში გერმანიის და საფრანგეთის აზრმა მკვიდრი საფუძველი მოიპოვა; პირველ-

ში გაბატონდა გეგელი და მეორეში სენ—სიმონი. დიდებული ჭეუა, რომელიც გატაცებით ცოლობდა გაეგო იმ ქვეყნიური საიდუმლოება და სოციალური მეოცნებები ამ ქვეყნისა ტანჯულ კაციბრიობისადმი უმაღლეს სიყვარულით გატაცებული. ასეი იყო ეს ორი დიადი ადამიანი, რომელებსაც ასეთი დილხანს თაყვანს სცემდა რუსთის ახალგაზდობა.

ახალი ნებეცური ფილოსოფია იწყება ემანუილ კანტიდან (1724—1804). ჩევნ განუახვა არა ვა ვა დაწვრილებით შევუდგეთ აქ ამ ფილოსოფიის განხილვას. მაგრამ რუსეთის ლიტერატურის მიმართულების გასაგებათ საჭიროა ცოტათ შევტერდეთ მის ძირითად იდეებზე. კანტმა პირველმა საფუძველი ჩაუყარა ეგრეთ წოდებულ კრიტიკულ ფილოსოფიის. ამ ფილოსოფიის საგანი ის იყო, რომ აღენიშნა ჩევნი შემეცნების საზღვრები. კანტის ფილოსოფიამდე გერმანიაში გაბატონებული იყო მეტაფიზიკური მიმართულება. მეტაფიზიკა ცდილობდა აეხსნა კითხვები ისეთ საგნების შესახებ რომლებიც ჩევნი გრძნობის გარეშე დგანან. ის ცდილობდა აეხსნა კითხვები ყოველ არსის, ღმერთის და ქვეყნის არსებობის შესახებ და სხვა. ასეთი მეტაფიზიკის საგანი, რომელიც პირდაპირ წინაღმდეგია პოზიტივურ ფილოსოფიის. პიზიტიურმა ფილოსოფიამ საბოლოოთ უარ ჰყო, აეხსნა ის კითხვები, რომლებიც ჩევნი გრძნობის გარეშე დგანან და გაეგო იმ ქვეყნიური ამბავი. მან განსაზღვრა თავის საგანი იმ კითხვების ახსნით, რომლებიც ჩევნი გრძნობებისათვის მისაწილობ მოვლენებს ეხებიან. ის სხვა ქვეყანას ჩევნთვის მიუწდომელათ სოვლის. ამ გვართ მეტაფიზიკურ და პოზიტიურ ფილოსოფიას შეა დიდი განსხვავებაა, აქედან კი გამომდინარეობას მათი მეთოდების განსხვავება. თავის მიზნის სისრულეში მოსაყანათ მეტაფიზიკა სარგებლობს გონებრივი შეხედულობით, ხოლო პოზიტივური გამოცთილებით და გამოკვლევით. პირველ მეთოდს ეწოდება სპეციულუტიური, ხოლო მეორეს ემპირიული. თავისთავით ცხადია მეტაფიზიკის იმ საგნების, გამორკვევა და შეესწავლა, რომლებისარც დანახვა შეიძლება და არც ხელით შეხება, როგორც ღმერთი, ქვეყნის არსებობა და სხვა, შეუძლებელია, ამიტომ მეტაფიზიკას მხოლოდ დარჩენია ერთათ ერთი საშუალება ამ კითხების ასახსნელია მხოლოდ თავის გონების შეეკითხოს, თვის თავში ეძებოს პასუხი, იმედი იქნიოს რომ ჩევნში ბუნებრივია არსებობენ ამ საგნების შესახებ იდეები. ამ გვართ მეტაფიზიკური მეთოდი დამყარებული იყო იმ რშმე-

ნაზე, რომ აღამიანში არსებობენ თან დაყოლილი იდეები. ის ცდილობდა, ჩვენს გარშემო ქვეყანაში ეძებნა არა ის ბუნებრივი კანონები, რომლებიც ჩვენ ცხოვრებას ამოძრავებენ და შეიძლება მათი გამოკვლევა, არამედ ცდილობდა გამოვკლია ის აბსოლიუტური უმაღლესი დასაწყისი, რომლიდანაც ხელათ შეიძლებოდა ამ ქვეყის ცხოვრების სხვა-და ხვა ფორმების გაგება, ამ აბსოლიუტის გასაგებათ კი მის არსებობას და თვისებებს აღმიანის გონებაში ეძებდა.

ამიტომ გასაკვირი არაა თუ ასეთ მეთოდის წყალინგით ფილოსოფია ხშირათ ოცნების სამთავროში გადაღიოდა. საქმარისი იყო ისეთ მოვლენას წაწყდომოდენ, რომლის მეცნიერულათ გამოკვლევა შეუძლებელი იყო, რომ ხელათ აბსოლიუტს ისეთ ახალ თვისებას აწერდენ, რომ ეს მოვლენა თითქოს მაშინვე ადვილ გასაგები ხდებოდა. რომ დაემტკიცებიათ ასეთი თვისებების არსებობა, უთითებდენ თანდაყოლილ იდეიაზე; ავიღოთ ისეთი უბრალო მაგალითი, როგორც მაგალითად პატარა მილიონ ზევით წყლის იყვანა, გამოცდილებით და დაკვირვებით გამომკვლეველები იმ დასკვნამდე მივიღენ, რომ წყლის ზევით აყვანა ამ შემთხვევაში ხდება პატრის ზეგავლენით. მეტაფიზიკი კი, რომელიც ყველა მოვლენების ახსნას თავის თავში ეძებს, სულ სხვაფერ ახსნის ამ მოვლენას, ის იგონებს რაიმე თვისებას აბსოლიუტურ ძალისთვის. ბუნებას ეშინია სიცარიელისი, აი როგორ ხსნიდენ ისინი ამ ზოვლენას, მეტაფიზიკისთვის სულ ადვილი იყო აეხსნა ის, რის ახსნაც მეცნიერებისთვის ძნელი იყო.

(შემდეგი იქნება)

— 1.

რედაქტორ-გამომცემელი ე. ტურაბელიძე



განცხადებანი

მომავალი

“

გამოდის ყოველ დღე, გარდა კვირა უქმის მეორე დღეებისა. გაზეთი ღიას: როგორც თფილისში ისე თფილის გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან. ქალაქ გარეთ: 3 თვით—2 მან. 50 კ. 1 თვით—90 კ. თფილისში: 3 თვით—2 მან. 20 კ. 1 თვით—80 კაპ.

ფული შემდეგი აღრესით უნდა გამოიგზავნოს: თიფლის თიპოგრაფია „შრომა“, კალისტრატი კონსტანტინოვიჩ ჭულაძე.

1910 წლის 2 იანვრიდან გამოდის

ახალი კვირეული სამსატერი-სადიოტერატურო სათეატრო სურათებიანი ჟურნალი

თეატრი და ცენტრება

იუმორისტიულ განცხადებით და კარიკატურებით.

ჟურნალის მიზანია სათეატრო საკითხების გარკვევა-განაწილვა. თეატრის წარსული და წაწყო, ისტორია. დაიბეჭდება თეატრის შესახებ წერილები, პიესები, ლექსები, მოთხოვები და სხ. ყველა №-ში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა.

ჟურნალში მონაწილეებას მიიღებენ:

ვ. აბაშიძე, მ. ადამაშვილი, ს. გლახაშვილი, ი. გომარელი, პ. გოთუა, ი. ბრიზაშვილი, ვ. გუნია, პ. დადვაძე, შ. დადანი, ვ. დარჩია, ლუტუ მეგრელი, ვაჟა-ფშაველა, ვ. აბაშიძე, მ. თოიძე (მხატვარი), ვ. თუმანიშვილი, კ. ესხილ, მეტრეველი, ი. მჭედლიშვილი, ნ. ნაკაშიძე, ნარკანია. ნახუცრიშვილი, ი. ნიკოლაძე, ტრ. რამიშვილი, გ. ურუშაძე, კ. ყიფანი, მ. ყიფშიძე, ს. გალობლიშვილი, ვ. შალიკაშვილი, ა. შანშიაშვილი, თ. შმერლინგი, (მხატვარი) ცნობილი მწერლები სა მხატვრები. ხ. ნაკაშიძე გ. ყიფშიძე, კლიშეები მზადება ქართველთა ამს. ცინკოგრაფიაში.

გავაკვირით დამატებებით ერთი წლით 5 მან. ნახევარი წლით 3 მან. თითო ნომერი 10 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: ხელის მოწერის დროს 2 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად. ხელის მოწერა მიღება ტფილისში დრამ. საზოგ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან; ფისტის ადრესი: თიფლის. კონტორა გრუ. დრამ. ი. ი. შედაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

* * ს ხ ლ ვ ლ ი * *

ეურნალში დაიბეჭდება: მოთხრობები, ლექსები, როგორც თრიკინალური ისე ნათარგმნი, კრიტიკული წერილები, ბიბლიოგრაფიები, ბიოგრაფიები და სხვა.

მინაწილებას მიიღებყნ:

ნ. აზანი, პეტერენედი, ბ. გელა, კ. გოგოლესტე, ივ. გომართელი, ნ. ზომელეთელი, მ. იასაშნი, ბ. ირეთელი, ა. ჯალიანი, ლეთ, რ. ლეჩეუმელი, გ. მალაქაშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ა. რაჭენიძე, ტ. რაშიშვილი, გ. რუხაძე, ფ. რუსული, ვ. რუქესიშვილი და სხვა.

ეურნალი ღირს:

ერთი წლით	—	— 5 მნ.
სახელი წლით	—	— 2 გ. 50 გ.
ერთი თვეთ	—	— 50 გაზ.
თავთ ნომერი	—	— 10 გრძ.

წლიურ ხელის მომწერთ

პირველ პრემიათ მიეცვალთ სტატიის მოთხოვა
„სახლი ვილაგის ნაკისხვა“.

მეორე პრემიათ — მიროვლის ოთხ-მოქმედებიანი ახალი
ჟილა „სიცილი“.

პირველი წიგნი დაურიტდებათ თებერვლის დამლევს. მეორე ავტოსტოს პირველ რიცხვებში. აგრეთვე დეკმბრის ნომრები უფასოთ გაებრავნება. ვინც თებერვლის დამლევამდე მთელი წლის უფლს შემოიტანს ირივე წიგნს მიიღებს. ურნალის გამოწერა შეიძლება თუილისში: გაზ. „მომავლის“-ს რედაქციაში: 3. კალანდარესთან; წიგნის მაღაზია „ალიონში“ ვ. გაღილიასთან, კუროჩინ ქუჩა № 9; „ბერატნოვ დელო“-ში, ველიამინოვის ქუჩა № 6 ბ. კილაძესთან.

კ ა ლ ა ქ გ ა რ ე ბ ი

ქუთაისში: წიგნის მაღ. „იმერეთში;“ ის. კვიკარიძესთან; სამტრედიაში წ. გზის შპ. კ. კუპალეიშვილთან; ბათუმში — რკ. გზის შკაფში გ. მახარაძესთან; კუთურაში — მასწ. ვ. ხურაძესთან; ჩოხატურში — წიგ. მაღ. ს. თავართქილაძესთან; ოზურგეთში — წიგ. მაღ. მ. თალაკვაძესთან; და რკინის გზის კველა სადგურებზე, სადაც წიგნის შეაფებია.

წერილები და ფული დროებით ამ აღნესით უნდა გამ.იგზავნოს: **თიფლის, თიპოგრაფია მეცნიერებელი დელო, ვილამინოვსკა ულიცა № 6. პოლიექტი ანტონი კალანდაზე.**

ურველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მ რ მ ე ბ ი

გამოდის ურველ დღე, — კვირაობით სურათებიანი დამატებით. გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით 8 გ. და 50 კ., ნახევარი წლით 4 გ. 80 კ. ერთი თვით 80 კ. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: თიფლის რედაქცია „დრება“, ი. ს. აგლაძე.

გამოდის 1910 წ. საზოგადო სურათებით გამოსაგზავნი

„ნ ე ლ ი წ ა დ ი მ ე მ ქ ს ე ,“

წელი წარმოსახულის მემკვეთი.

ხელის მოწერა მიიღება თფილისში: „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტი, 8) და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში (თავად-აზნაურობის ქარვასლა).

1910 წლის 1-ლ იანვრიდან 1911 წლის 1-ლ იანვრიმდის მიეცემა ხელის მომწერლებს: 24 წიგნი მცირეწლოვანთათვის, 12 წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიათ საბაზო უნივერსიტეტი (საცეცნიერო პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისთვის):

1) დედამიწა და კულიანი ვარსკვლავი — ზღაპაპარი ევალდისა, 2) შარჯნები — ზღაპაპარი ევალდისა, 3) თორმეტი და — ზღაპაპარი ევალდისა, 4) ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

ფასი ურნალისა:

წლიურათ — ხუთი მანეთი.

ნახევარ წლით თრივე გამოცემა — სამი მანეთი.

საზღვარ-გარეთ „

წლიურათ — შეიდი მანეთი,

ნახევარი წლით — თოხი მანეთი.

მცირე-წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მანეთი.

მოზრდილთათვის 12 წიგნი — 3 მანეთი.

რედაქტორი: მარაშ ივანეს საული დემურიასა.

გამომცემლი: თ. შავდევ იასების ქ. თუმანიშვილი.